ოქმი N 9

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2022 წლის 24 აგვისტო

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევანი ლიპარტია
2. მამუკა ქარდავა
3. სერგო ბერაია
4. აკაკი მალანია
5. ფრიდონი შონია
6. ბადრი რიჟამაძე
7. ფელიქსი წურწუმია
8. ნინო ბოკუჩავა
9. მალხაზი იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ლიპარტია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“განკარგულების პროექტის შესახებ
(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9 წინააღმდეგი -არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“განკარგულების პროექტის შესახებ
(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებმელმა განაცხადა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისთვის დადგენილია საწვავის ლიმიტი 200 ლიტრის ოდენობით, საკრებულოს თავმჯდომარის მოქმედი მოადგილისთვის განსაზღვრულია საწვავის ტიპი - დიზელი. საკრებულოს აგვისტოს სხდომაზე არჩეულ იქნა საკრებულოს თავმჯდომარის კიდევ ერთი მოადგილე, რომლისთვისაც განისაზღვრება საწვავის ტიპი - ბენზინი. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომელსაც წარმოგიდგენთ განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით განმარტებით ბარათთან ერთად განკარგულების პროექტის საკრებულოს თავმჯდომარისთვის ინიციირების წესით წარდგენის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8 წინააღმდეგი - 1

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი განმარტებით ბარათთან ერთად წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს ინიციირების წესით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ლიპარტია